

ე'თემად ას-სალთანე

მოჰამად ჰასან ხან ე'თემად ას-სალთანე ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო.

მოგონებათა დღიური¹

(1889)

წინა გზა

[1306 წლის] 14 რამაზანი (1889 წლის 14 მაისი), ოთხშაბათი:

დღეს თბილისში მივდივართ. იქამდე 10 ფარსახია. საფოსტო კალიასკით გავემგზავრეთ. ფოთი-ბაქოს რკინიგზის მაგისტრალის სადგურ ბეხეთში ((Bekhet) მატარებელში ჩავსხედით და მზის ჩასვლამდე ორი საათით ადრე თბილისში შევედით.

აღსთავას (Āqstafā) მისადგომებთან ბაჰმან მირზას სიძემ ზიად ბეგმა მინდორში კარავი გაშალა და ირანული სადილით – ფლავითა და ჩელოვით გაგვიმასპინძლდა. აღსთავაში შაჰს დახვდნენ თბილისში ინგლისის კონსული და ირანიდან რაშთის გზით ჩამოსული სამი პირი: ჯაჰანგირ ხანი, მოხბერ ად-დოულე და ამინ ად-დოულე. გზაში შემატყობინეს, რომ მირზა მაჰმუდ ხანის რჩევით, შაჰის ფირმანებისა და კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის (Dondūkof Korsākof) არზების თარგმანების გაცვლის პატივი ამინ ას-სოლთანს ჩამოერთვა და მე გადმომეცა. მირზა რეზა ხანმა, რომელსაც ქვემოთ აღვწერ, თარჯიმნად თავისი თანაშემწე შემომთავაზა. მე კი თეირანში რუსეთის საელჩოს თარჯიმანი შელკუნოვი (Shelkūnof), რომელიც თეირანიდან ახალი ჩამოსული იყო, წავაქეზე: რახან რუსეთში ვიმყოფებით, თარჯიმნობა შენ გეკუთვნის-მეთქი. მანაც სრულიად მოურიდებლად [ამ თხოვნით] პირდაპირ შაჰს მიმართა და გადაწყდა, რომ ის თარგმნიდა. თბილისის შესასვლელთან შაჰს დიდი პატივით შეეგებნენ. მე ოფიციალურ ტანსაცმელში ვიყავი ჩაცმული და შაჰს იშიქაყასიბაშისკენ გავუძეხი. როცა ჩვენთვის განკუთვნილ სახლებში წასასვლელად კალიასკებში ვსხდებოდით, მირზა მაჰმუდ ხანმა აზიზ ხანი თავის კალიასკაში ჩაისვა. მე და ტულუზანი (Tolūzān) მთავრობის სასახლეში დაგვაბინავეს. იქ ვნახეთ ნასერ ალ-მოლქი, სადიყ ას-სალთანე, ემირ ზადე სოლთან ებრაჰიმ მირზა და მო'ავენ ალ-მოლქი, რომლებიც გილანიდან ჩამოსულიყვნენ. საღამოს ოფიციალური ვახშამი გაიმართა და ჩვენ შაჰის მაგიდასთან დავსხედით.

¹ Ruz-name-ye khaterat-e Sani ad-Doule Mohammad Hasan Khan E'temad as-Saltane, Rahnema-ye ketab, Vol.9, No.3, Tehran, 1345/1966,

ამინ ას-სოლთანმა სადიყ ას-სალთანეს მწვანე ყაწიმი უბოძა. საჩუქარმა სადიყ ას-სალთანე ისე გაადიდგულა, რომ მგზავრობის ბოლომდე ყველას უტიფრად ექცეოდა.

15 რამაზანი (15 მაისი), ხუთშაბათი:

ეს დღე თბილისში გავატარეთ. დილით აბანოში წავედი. სასტუმროში ვისადილე და შაჰის სადილის დროს მის წინაშე გამოვცხადდი. შაჰი დღეს ქალთა სკოლის სანახავად მიბრძანდება. აზიზ ას-სოლთანმა დაიჟინა, რომ მას გაჰყოლოდა. ბოლოს ტირილი დაიწყო და შაჰი იძულებული გახდა, თან წაეყვანა. საღამოს ოფიციალური ვახშამი გაიმართა. ამ ყმაწვილმა მოითხოვა, რომ ვახშამს დასწრებოდა, მაგრამ კავკასიის მთავარმართებელი უარზე იყო. ამინ ას-სოლთანი ამის თაობაზე მთავარმართებელს რამდენჯერმე ელაპარაკა, მაგრამ ვერ დაიყოლია. მირზა მოჰამად ხანმა, რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ აზიზ ხანისთვის ეამებინა, მას მაგიდასთან საუკეთესო ადგილი მიუჩინა. შაჰმა და მთავარმართებელმა მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს. შელკუნოვი თარგმნიდა. სადრ ა'ზამმა სხვადასხვა პირთა აღსანუსხავად ფანქარი ამოიღო და რამდენიმე სიტყვა დაწერა ფურცელზე, რომელზეც, წესით, საქმელების სახელებს წერენ და მაგიდაზე დებენ ხოლმე. მერე ხელი გაიწვდინა და ფურცელი შაჰს გადააწოდა. ამასობაში შაჰმა ყინული მოისურვა. სადრ ა'ზამი ადგილიდან წამოხტა და შაჰის სურვილის გადასაცემად მეორე ოთახში სირბილით გაიქცა, რითაც დამსწრე საზოგადოების აშკარა დაცინვა გამოიწვია. ვახშამს ესწრებოდა კავკასიელ მუტრიბთა დასი, რომელიც ირანულ მელოდიებს უკრავდა და მღეროდა. ვახშმის შემდეგ შაჰი თეატრში წაბრძანდა, მაგრამ ძლიერ სიცხეს ვერ გაუძლო და უკან დაბრუნდა.

16 რამაზანი (16 მაისი), პარასკევი:

დღეს მეფის კორტეჟი თბილისიდან მღეთაში (Melit) გაემგზავრა. იქამდე 14 ფარსახია. საოცარი გაუგებრობა მოხდა: თბილისის გუბერნატორს შაჰი ქალაქის გასასვლელამდე უნდა გაეცილებინა, მაგრამ მხოლოდ სასახლის კარამდე მიაცილა. ამასობაში ებრაჰიმ მირზა გამოჩნდა. თავის ცოლთან და ამინ ად-დოულეს ცოლთან ერთად მექას მოსალოცად მიდიოდა. ძალიან მოუნდა ჩვენთან ერთად ევროპაში წამოსვლა, მაგრამ ამინ ას-სოლთანმა უფლება არ მისცა.

ერთი სიტყვით, შუა გზაზე სადილად დავსხედით. ამინ ას-სოლთანმა მითხრა: `შენ არაპრაქტიკოსი სწავლული ხარ~. მე ვუპასუხე: `თქვენ კი ის მქადაგებელი ხართ, რომელსაც თავისი ქადაგებების თავად არ სჯერა~. ძალიან ეწყინა. ჯანდაბა! ნეტავ რა მოხდება? მზის ჩასვლის შემდეგ სახლში დავბრუნდით. არც სახლი ვარგოდა და არც საქმელი.

17 რამაზანი (17 მაისი), შაბათი:

დღეს ვლადიკავკაზში (Velād-e Qafqāz) მივდივართ და იქამდე 14 ფარსახია. კავკასიის მთები გავიარეთ. 3 ფარსახი გვექონდა დარჩენილი, როცა ძლიერი წვიმა წამოვიდა. მზის ჩასვლისთვის ვლადიკავკაზში შევედით. ქალაქში არ გავჩერებულვართ, პირდაპირ რკინიგზის სადგურში წავედით და მატარებელში ჩავსხედით. ჩემი ტანსაცმელი და ღამის ნივთები დასველებულიყო. რა ძაღლური ცხოვრებაა! საღამოს შაჰის სამსახურში ვიყავი. ვახშამიც კი არ იყო, რომ მეჭამა. ის იყო მშიერს უნდა დამეძინა, რომ ერთი ნაჭერი პური ვიშოვე. ძალიან მოუსვენრად მეძინა.

უკანა გზა

[1307 წლის] 9 მოჰარამი (1889 წლის 5 სექტემბერი), ხუთშაბათი:

დღეს მლეთაში მივდივართ. ისე ცივა, თითქოს ზამთარი იყოს და ძლიერად წვიმს. მლეთამდე 15 ფარსახია. ყაფის მთაზე უნდა გადავიდეთ. ექიმი ფურიე და ადიბ ალ-მოლქი ჩემს კალიასკაში ისხდნენ. მზის ჩასვლისთვის მლეთაში შევედით. საღამოს შაჰის ვახშამს დავესწარი და მისი ნარჩენებით ვივახშმე.

10 მოჰარამი (6 სექტემბერი), პარასკევი:

დღეს აშურაა². დილით აშურას ლოცვა წავიკითხეთ და გზას გავუდექით. თბილისისკენ მივდივართ და იქამდე ძალიან გრძელი გზაა. ნაშუადღევს სამ საათზე ვისადილეთ. ამინ ას-სოლთანი ისევ შეუძლოდ იყო. მზის ჩასვლისთვის თბილისში შევედით. მე ჰოტელში დავბინავდი. საღამოს შაჰთან გამოვცხადდი. განსვენებული ამინ ად-დოულეს ვაჟი მოჰამად ებრაჰიმ ხანი თეირანიდან თავისი ბიძის მოჰამად ალი ხან ქაშის სანახავად ჩამოსულიყო. მოჰამად ალიმ რუსების სამსახურში ხუთასი ათასი დააგროვა. აქ ასევე ვნახე ამერიკაში ირანის უწინდელი ელჩი გადარეული ჰაჯი ჰოსეინ ალი ხანი და ემირ ზადე სოლთან ებრაჰიმი, რომლებიც პარიზიდან ერთად ჩამოვიდნენ და სტამბოლში საშინლად იჩხუბეს. მერე სახლში წამოვედი, ვივახშმე და დავიძინე.

11 მოჰარამი (7 სექტემბერი), შაბათი:

დილით აბანოში წავედი და იქიდან სახლში დავბრუნდი. საღამოს სოლთან ებრაჰიმ მირზასთან ერთად ცოტა ხანი ბაზარში გავისეირნე. დღეს შაჰი და მისი

² შიიტთა სამგლოვიარო დღე, როცა მოიხსენიებენ მესამე იმამის ალის ვაჟს ჰუსეინს, რომელიც თანამებრძოლებთან ერთად ჰიჯრის 61 წ. 10 მოჰარამს /680 წ. 10 ოქტომბერს ქარბალასთან (ერაყი) ომაიანებთან ბრძოლაში დაიღუპა. მოჰარამის პირველი ათი დღე სამგლოვიარო დღეებად ითვლება და ამასთან დაკავშირებით იმართება როუზეები - შეკრებები, რომლებზეც სპეციალური მთხრობელები - როუზეხანები ყვებიან შიიტი წმინდანების ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკვდილის ისტორიებს.

თანამგზავრები მო'ინ ალ-ვეზარასთან იყვნენ დაპატიჟებული. იქ რამდენიმე როლზეხანი მოვიდა და პატარა როლზე ჩაატარეს. ვახშმის შემდეგ სახლში წამოვედი.

12 მოჰარამი (8 სექტემბერი), კვირა:

მზის ჩასვლას ორი საათი აკლდა, თბილისიდან დილიჯანში რომ გავემგზავრეთ. მე და ექიმი ფურიე ერთ ვაგონში დავბინავდით. ვახშმის დროს შაჰს ვეახლე. რუსულ გაზეთში სადრ ა'ზამის შესახებ ცუდი რამეები დაეწერათ და ძალიან გაბრაზებული იყო. ღამე მატარებელში დავიძინეთ.

(თარგმნა მარინა ალექსიძემ)

در مدرسه شیطان بازار

(<http://www.noormags.com/view/fa/articlepage/140437>)

چهارده سال پیش وزارت معارف (آنوقت فرهنگ نبود معارف بود) مرا مأمور کرد که به تفلیس بروم و مدرسه ایرانیان را اداره کنم. کسانی که به قفقاز رفته‌اند بخوبی میدانند محله‌های مسلمان نشین را بزبان محلی «شیطان بازار» میگویند ولی حالا این اسم عوض شده و معدنک بزبان عرف و عادی همان شیطان بازار است. وجه تسمیه و شیاع آن هنوز معلوم نشده و در هر صورت مدرسه ما را هم که در محله مسلمانان بود مدرسه شیطان بازار میخواندند. این مدرسه و مدارس مانند آن در اثر ایران خواهی عده‌ای از ایرانیان پول‌دار مقیم خارجه تأسیس شده بود ولی با تغییر رژیم روسیه و اخراج مردمان پول‌دار از آن کشور مدرسه‌ها بحال بدی افتاد و ناچار دولت ایران در اداره آن مداخله کرد. نخستین اشکال ما در تعلیم شاگردان شیطان بازار ندانستن زبان فارسی بود که کتابهای فارسی را مانند کتابهای خارجی میخواندند. گذشته از این چون الفبای ترکان قفقاز لاتین شده بود آخرین روابط ما هم با آنان قطع گردید. فکر کنید کودک هفت ساله ایرانی مقیم تفلیس بمدرسه شیطان بازار میآید یک کلمه فارسی نمیداند و مطابق برنامه محلی کتاب الفبای ترکی را با حروف لاتین میخواند ضمناً کتاب اول فارسی را هم با همین حروف مشکل حاضر میکند بدون اینکه یک کلمه فارسی بداند. اشکال دیگر ما نداشتن آموزگار یا دبیر بود چون که تهران نمیتوانست عده کافی آموزگار و دبیر روانه کند و ناچار از مردمان محلی که کمتر فارسی میدانستند معلم استخدام میکردیم. معلمین محلی ما ابتدا درس خود را پیش من و یا یکی دو نفر معلم تهرانی دیگر حاضر میکردند بعد سر کلاس میرفتند. یاد دارم یکی از معلمین ترجمه ترکی «شمبلیله» را از من پرسید (در قفقاز شمبلیله نیست) من هم ترکی آن را نمیدانستم بالاخره آنرا به نوعی علف خوش بو برای شاگردان ترک زبان شرح دادیم. اشکال دیگر مابین بود که شاگردان فارغ التحصیل مدرسه شیطان بازار تازه بدرد هیچ چیز نمیخوردند چون وسیله برای آمدن بایران و تکمیل تحصیلات فارسی نداشتند در مدارس عالی محلی هم بواسطه ندانستن یا کم دانستن زبان روسی پذیرفته نمیشدند. سفارت کبرای ایران سفارت صغرای توران، کنسولگری عظمی، کارگذاری، مدتی روی این موضوعات مطالعه و مکاتبه و مذاکره و مباحثه و مجادله و منازعه و مخاصمه و مناقسه و مداعبه و ملاعیه کردند و تا روزی که مدرسه‌های شیطان بازار بسته شد و من بایران باز گشتم این دور و تسلسل کماکان جریان داشت. نکته قابل ذکر هوش و استعداد این دسته از نوباوگان عزیز دور از ایران است که تا کنون محبت آنان را در اعماق دل نگارنده جای گزین ساخته است. دبیرستان ایرانیان تفلیس موظف بود که برای شاگردان چهار زبان مختلف را

367

در ظرف هفته تدریس نماید. اول ترکی که زبان تکلم ایرانیان آنجاست و مردی که اصلاً اهل آشتیان بوده خودش و فرزندانش بواسطه اقامت در شیطان بازار یک کلمه فارسی نمیدانند و ترکی حرف میزنند. دوم زبان گرجی چونکه تفلیس پای‌تخت جمهوری گرجستان است و مردمان آن موظفند زبان رسمی جمهوری گرجستان را سوم زبان روسی که زبان علمی و ادبی و سیاسی اتحاد جماهیر شوروی است و کسانی که در آن نقاط سکونت دارند بدون دانستن زبان روسی زندگی نمیتوانند. چهارم زبان فارسی که ما از تهران برای آنان سوقات میبردیم. باور کنید که با نداشتن وقت و وسائل؛ کودکان و نوآموزان ما هر چهار درس را بخوب حاضر میکردند ضمناً عشق و علاقه آنان بیش از انتظار و تصور بود ولی در عین حال سرکشی و شرارت آنان هم از سایر بچه‌ها بیشتر میشد و البته قسمت عمدۀ این عیب به محیط خانوادگی و طرز زندگانی داخلی آنان برمیگشت چه که شیطان بازار شهرهای قفقاز عیناً محله‌های دور افتاده جنوب تهران خودمان میباشد. باری مبارزه ما با این مشکلات چندان طول نکشید و پس از سه سال و کسری اقامت پر زحمت مدارس شیطان بازار را تعطیل کرده بایران آمدم و از آنجا باستامبول رفتم. استامبول در هفتاد سال پیش دبستانی برای ایرانیان آنجا افتتاح کرد. مرحوم حسین دانش ایرانی دانشمند ایران ندیده از نوآموزان همان دبستان بودند، مرحوم میرزا آقا خان کرمانی و شیخ احمد روحی در آن دبستان تدریس میکردند. موقعی که من افتخار خدمتگزاری آن بنگاه مقدس تاریخی را داشتم در دفتر جمع و خرج سال 1311 هجری قمری دبستان ایرانیان خط و امضای مرحوم میرزا آقا خان کرمانی را زیارت کردم که در مقابل دریافت شش غروش صاع حق التعلیم یک ماه پای دفتر رسید داده بودند. وقتی که با مرحوم حسین دانش حساب کردیم معلوم شد مرحوم میرزا آقا خان روزی پانزده شاهی (به پول آن روز) اجرت میگرفته و بنوآموزان ایران زبان و خط فارسی میآموخته است و عاقبت هم روی همین عشق و علاقه به ایران در بهار سال 1314 هجری قمری سرش را کنده پر از کاه کردن و بدار الخلافه مبارکه تهران روانه ساختند. حاجی هاشم بیک پیرمرد صد و چند ساله ایرانی مقیم استامبول برای نگارنده نقل میکرد که مرحوم حاجی رضا قلی خراسانی مدیر و سرپرست دبستان ایرانیان بامر سلطان عبدالحمید به تهمت شورش طلبی بزدان افتاد و مدت چهار سال و